20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

07/03/2022 N 54

თბილისი

შპს „მაქს-სერვისი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 20 ივნისის N91/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს „მაქს-სერვისი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის (საიდენტიფიკაციო კოდი N406253218) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით 0135008, მისამართზე: ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N22/ნიკოლოზ იზაშვილის ქ. N4, შენობა N6.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მაქს-სერვისი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2018 წლის 1 ოქტომბრის N621 განკარგულება.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი